



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო
პროგრამა

შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი
17.04.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა (კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით მე-8 დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ¹	07. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - (07) PhD in Social Sciences, მათ შორის: - ეკონომიკის დოქტორი - (0701) PhD in Economics - სოციოლოგიის დოქტორი - (0706) PhD in Sociology - ფსიქოლოგიის დოქტორი - (0707) PhD in Psychology - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი - (0705) PhD in International Relations (10) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი - PhD in Humanities, მათ შორის: - (1006) ფილოსოფიის დოქტორი - (1006) PhD in Philosophy - (1005) ფილოლოგიის დოქტორი - (1005) PhD in Philology - ისტორიის დოქტორი - (1004) PhD in History
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	—
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	

¹ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს.
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებულია 25/05/2018, №66 გადაწყვეტილებით 7 წლის ვადით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ფირცხალავა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი თავაძე შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა ჩავლეიშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

• ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის“ „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 25/05/2018, №66 გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მიღების დროს აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო პროგრამაზე მონიტორინგი აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შემოწმების მიზნით.

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა მიეკუთვნება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის, რომელიც, კურსდამთავრებულს ანიჭებს შემდეგ კვალიფიკაციებს: „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, - მათ შორის: ეკონომიკის დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, სოციოლოგიის დოქტორი, ფსიქოლოგიის დოქტორი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, მათ შორის: ფილოსოფიის დოქტორი, ფილოლოგიის დოქტორი, ისტორიის დოქტორი“ (იხ. პროგრამის აღწერა, გვ. 1)

აღნიშნულ ჩანაწერთან და კვალიფიკაციების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებს აინტერესებთ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 (ECTS) კრედიტს. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (25 ECTS, სულ 5 სასწავლო კურსი) და არჩევითი (5 ECTS, სულ 4 სასწავლო კურსი, საიდანაც სტუდენტმა ერთი უნდა აირჩიოს) კურსებისგან და დოქტორანტის სემინარებისგან (15 ECTS, სულ 3 სემინარი). რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის მოიცავს 6 ნაწილს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციების მიხედვით, აკრედიტაციის საბჭოს მიერ 25/05/2018, №66 გადაწყვეტილებით, განსაზღვრული რეკომენდაციები ნაწილობრივ გათვალისწინებულია.

პროგრამა მოიცავს 7 დარგობრივ მოდულს და შესაბამისად 7 სხვადასხვა კვალიფიკაციას, ესენია:

1. ეკონომიკა - ეკონომიკის დოქტორი - (0701)
2. სოციოლოგია - სოციოლოგიის დოქტორი - (0706)
3. ფსიქოლოგია - ფსიქოლოგიის დოქტორი - (0707)
4. საერთაშორისო ურთიერთობები - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი - (0705)
5. ფილოსოფია - ფილოსოფიის დოქტორი - (1006)
6. ფილოლოგია - ფილოლოგიის დოქტორი - (1005)
7. ისტორია - ისტორიის დოქტორი - (1004)

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად (იხილეთ დანართი 3, 2020 წლის 19 ოქტომბერი), დადგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები:

1. ეკონომიკა - 0311– 30/09/2021 - 30/11/2021
2. სოციოლოგია - 0314 – 30/09/2024 - 30/11/2024
3. ფსიქოლოგია - 0313 – 30/09/2024 - 30/11/2024
4. საერთაშორისო ურთიერთობები - 0312 – 30/09/2021 - 30/11/2021
5. ფილოსოფია - 0223 – 30/09/2021 - 30/11/2021
6. ფილოლოგია - 0232 – 30/09/2025 - 30/11/2025
7. ისტორია - 0222 – 30/09/2024 - 30/11/2024

შესაბამისად, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და ფილოსოფიის მოდულებისთვის, დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს პროგრამა კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ცენტრში წარმოადგინოს 30/09/2021 - 30/11/2021 პერიოდში. მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს პროგრამა დანარჩენი კვალიფიკაციებისთვისაც.

აღნიშნული მოსაზრების საფუძველს გვაძლევს აკრედიტაციის დებულებაში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N14/6 (29.01.2020), რომლის 30-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილებების წესი, რომელიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილება ან/და აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გაყოფა დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას ან არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები არ განიხილება ახალ პროგრამად/პროგრამებად.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა გამოიწვევს საგანმანათლებლო პროგრამის ორ ან მეტ საგანმანათლებლო პროგრამად გაყოფას, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, გაყოფილი საგანმანათლებლო პროგრამები, იმავე კალენდარული წლის განმავლობაში, მიუხედავად მათი დეტალური სფეროს კოდებისა, შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დაწესებულებამ დროულად განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამაში აკრედიტაციის დებულებით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/6 ბრძანებით დადგენილი ცვლილებები.

• **არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინების/არგათვალისწინების საკითხები:**

დაწესებულების მიერ გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია საერთოდ არ ითვალისწინებს ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს და იმეორებს იმ პოზიციას, რომელიც დაწესებულებამ დააფიქსირა მას შემდეგ (დაწესებულების წერილი - 142820, 22/02/2021), რაც ექსპერტთა ჯგუფმა დამატებითი დოკუმენტაცია გამოითხოვა.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ არ ზღუდავს დაწესებულების თავისუფლებას და რომ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები არ იწვევს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიისა და დისკრეციის, მათ შორის, აკადემიური თავისუფლების შელახვას“.

რადგან დაწესებულებებს, მათ შორის, შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს, საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა უწევთ კანონმდებლობის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოცემული რეკომენდაციები შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, გადატანილი იქნა რჩევებში

• **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. ცენტრის დირექტორის ბრძანების 2020 წლის 31 დეკემბრის №1245614 ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ა) ეკატერინე ფირცხალავა (თავმჯდომარე); ბ) გიორგი თავაძე (წევრი); გ) დავით გეგეჭკორი (წევრი); დ) მარინა ჩავლეიშვილი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის მიზნით მოწოდებულ დოკუმენტაციას და შეადარა ის 2018 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. პირველ შეხვედრაზე, 8 თებერვალს, ექსპერტთა ჯგუფმა, შეხვედრის შემდეგ, დაწესებულებიდან გამოითხოვა დამატებითი მასალა, კერძოდ:

1. დოქტორანტების რაოდენობა მიმართულებების მიხედვით;
2. დღემდე დაცული დისერტაციები;
3. დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარების გეგმა-გრაფიკი;
4. კვლევითი პროექტის განაცხადი (სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით);
5. ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან/ინსტიტუტებთან გაფორმებული მემორანდუმები/თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

7. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კვლევის ეთიკის კოდექსი, - ეთიკური სტანდარტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს იმ მკვლევარმა, რომელიც უნივერსიტეტის სახელით ახორციელებს კვლევას; ის პროცედურები, რომლებიც ამოქმედდება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში, ასევე, როგორ და რა პროგრამით მოწმდება ნაშრომები პლაგიატზე.

8. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

9. სტანდარტი 4.1 - ინფორმაცია ძირითადი და დამხმარე პერსონალის შესახებ, რომელიც პროგრამას ემსახურება.

10. აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი აკადემიური ხარისხების მიხედვით, ასევე, რეალური და პოტენციური ხელმძღვანელების სია მიმართულებების მიხედვით, კვალიფიკაციის მითითებით.

ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ამჟამად მოქმედი რეგულაციებით, რომლებიც 2018 წლის შემდეგ ამოქმედდა, კერძოდ:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით, რომელშიც ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2021 წლის 21 მარტს (ის ცვლილებები, რომლებიც აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს ეხმიანება, აკრედიტაციის დებულებაში შესულია 2020 წელს)
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (დონე 8 - დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი), რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით;
- ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები ორიენტირებულია სადოქტორო პროგრამის დახვეწისა და სრულყოფისკენ, რათა იგი აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს და, ასევე, შესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ აკრედიტაციის საბჭოს მიერ 25/05/2018, №66 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რეკომენდაციები.

მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა შემდეგი სტანდარტები/კომპონენტები და შეფასება ასეთი სახით არის წარმოდგენილი;

პირველი სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან

მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან

მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები :

- რეკომენდირებულია, საგანი „სწავლების პრაქტიკა“ იყოს არა არჩევით სავალდებულო საგანთა ნუსხაში, არამედ სავალდებულო სასწავლო საგანთა სიაში.
- პროგრამის მიმართულებების სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს კომპონენტებს. მაგალითად, დოქტორანტურის საფეხურზე ყველა მიმართულებით უნდა წარმოჩნდეს სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება, რომელიც შედეგებშიც უნდა დაკონკრეტდეს; ასევე, უნარებში აისახოს კრიტიკული ანალიზის და არსებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის, მოსაზრებების არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარები.
- **სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“** სილაბუსი მითითებული შენიშვნების შესაბამისად საჭიროებს ჩასწორებას. წარმოდგენილი მიზანი და შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს; ასევე, დაზუსტდეს კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ვრცლადაა მოცემული და საჭიროებს დაკონკრეტებას, ისინი უნდა ასახავდეს ძირითად შედეგებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტები.
- კურსის „**დოქტორანტის სემინარი III**“ შინაარსი, დიდწილად, პოლიტიკური და ძალაუფლების თეორიების ანალიზს ასახავს. მნიშვნელოვანია კურიკულუმში ისეთი სასწავლო კურსის გათვალისწინება, რომლის შინაარსი შესაბამისი იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით).
- სილაბუსში „**დოქტორანტის სემინარი III**“ საჭიროა გარკვეული ცვლილებების განხორციელება, რათა სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მესამე დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან. კერძოდ, ა). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ შეიქმნას დამატებითი ლიტერატურის განყოფილება და წყარო - Hoffman, J and Graham, P. (2015). *Introduction to Political Theory*, London and New York, Routledge - იქ იქნეს გადატანილი; აღნიშნული წყარო ამოღებული იქნეს კალენდარული გეგმის პირველი და მესამე კვირიდან; ბ). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის 1-ელ კვირაში თემისთვის „პოლიტიკური თეორიის საგანი. პოლიტიკისა და პოლიტიკური ფენომენის განსაზღვრის მცდელობა კარლ შმიტის მიერ“, ზემოთ ხსენებული *Introduction to Political Theory*-ის ნაცვლად, შმიტის შესახებ უფრო სპეციალიზებული მასალა იქნეს მითითებული (მაგალითად, *The Oxford Handbook of Carl Schmitt*, edited by J. Meierhenrich and O. Simons, Oxford: Oxford University Press, 2016); გ). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის მე-3 კვირაში თემისთვის „სახელმწიფოს წარმოშობის კლასიკური თეორიები“ მითითებული ლიტერატურა შეივსოს სხვა წყაროებით, რათა ის სადოქტორო დონისთვის უფრო ადეკვატური გახდეს (მაგალითად, Quentin Skinner, “A Genealogy of the Modern State”, *Proceedings of the British Academy*, 162 (2009), გვ. 325-370).
- მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. ამასთან, სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრები.

- კურსის - „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ - სწავლის შედეგები საჭიროებს დაზუსტებას და ზოგიერთი წარმოდგენილი დებულების მესამე საფეხურისთვის შესაბამისობაში მოყვანას; კერძოდ, სილაბუსში სწავლების შედეგში წერია: „დოქტორანტს შეუძლია აკადემიური კითხვასა და წაკითხულიდან აზრის ეფექტიანად გამოტანა.“ ჩნდება შეკითხვა: რა მექანიზმით მოწმდება შედეგი? ასევე, დოკუმენტში წერია: „დოქტორანტს აქვს აკადემიური წერის ფუნდამენტური უნარი, ნებისმიერი აკადემიური და არაკადემიური კომუნიკაციისათვის.“ გაუგებარია, რა იგულისხმება „არაკადემიურ კომუნიკაციაში“. თუკი აქ იგულისხმება არაკადემიური სტილი, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩასწორება. სწავლის შედეგებში ვკითხულობთ: „დოქტორანტმა იცის აკადემიური წერის თანამედროვე ნორმები და სტილები“, რომლებიც თემატიკაში არსად არ არის განხილული (სავარაუდოდ, იგულისხმება APA-ს, Chicago-ს, და ა.შ სტილი). დაბოლოს, ზოგიერთი ჩანაწერი სადავოა. მაგალითად: „დოქტორანტს შეუძლია წაკითხული მასალის გააზრება, ლაკონიურად აზროვნება და წერა.“ ეს უნარი დოქტორანტს ადრეულ საფეხურზე უკვე უნდა ჰქონდეს გამომუშავებული.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, რომ დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები, რათა პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“, და დაწესებულებამ შეძლოს, შესაბამისობაში მოყვანილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიში/ანგარიშები ცენტრში წარადგინოს 30/09/2021 - 30/11/2021 პერიოდში.
- დაწესებულებამ სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად.
- კვალიფიკაციების მინიჭება განხორციელდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.
- წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დაფიქსირდეს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა;
- სასურველია, არ დაწესდეს შეზღუდვა და სამოტივაციო წერილის მოცულობა იყოს წარმოდგენილი ისე, როგორც დებულებაშია მოცემული; კერძოდ, სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას.
- გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, სავალდებულო არჩევით საგანთა კორექტირებულ ჩამონათვალში წერია „დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი“, მაგრამ მეორე დოკუმენტში, სადაც კურიკულუმი და სამეცნიერო მიმართულების კომისია არის წარმოდგენილი, მითითებულია „არჩევითი ინდივიდუალური სემინარი“.
- ✓ კურსში „დოქტორანტის სემინარი III“: ა). კალენდარული გეგმის მე-4 კვირაში თემისთვის „ახალი დროის პოლიტიკური თეორიები: თომას ჰობსი და ქრისტიანული პოლიტიკური თეოლოგიის კრიტიკა“ მითითებული ლიტერატურა, შეივსოს ჰობსის

რომელიმე ნაშრომით, რადგან სხვა შემთხვევებში სილაბუსის ავტორი ყველგან უთითებს საკვანძო ავტორს (1-ელ კვირაში შმიტის შესახებ მითითებულია შმიტის ნაშრომი, მე-5 კვირაში მონტესკიეს შესახებ მონტესკიე მითითებულია ლიტერატურაში, მე-6 კვირაში რუსოს შესახებ რუსო მითითებულია ლიტერატურაში და ა.შ.); ბ). კალენდარული გეგმის მე-6-7-8-12-14-ე კვირებში სასურველია საკვანძო ავტორების შრომების შევსება მეორადი ლიტერატურით, როგორც ეს წარმოდგენილია სილაბუსის მე-5-9-11 კვირებში (საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად: „სემინარებში ძირითადი ლიტერატურა განისაზღვროს სამეცნიერო ნაშრომებით“).

- ✓ კურსში „სწავლების პრაქტიკა“ სასურველია, კურსის შინაარსთან დაკავშირებით უფრო სრულყოფილი ჩანაწერის წარმოდგენა, რომელიც სრულად ასახავს სტუდენტის სწავლის შედეგებზე გასვლას.
- ✓ კურსში „დოქტორანტის სემინარი II“: ა). განყოფილებაში „დამატებითი მასალები“ კლიფორდ გირცის ნაშრომთან ამოღებულ იქნეს არასწორი ციფრული იდენტიფიკატორი; ბ). ოლივერ რაისნერის ნაშრომზე “Travelling between Two Worlds - the Tergdaleulebi, their Identity Conflict and National Life” ილია ჭავჭავაძის ნაცვლად, ავტორად მითითებული იქნეს ოლივერ რაისნერი.
- ✓ სილაბუსებს „სწავლების პრაქტიკა“ და „არჩევითი ინდივიდუალური სემინარი“ მიეთითოს ავტორები.
- ✓ კარგი იქნება, პროგრამას თან ერთვოდეს პერსონალთან გაფორმებული კონტრაქტები, რომლითაც დადასტურდებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.
- ✓ პროგრამის მეტი ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საზღვარგარეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც, ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო მეტად გაზრდის პროგრამის მიმართ ინტერესს.

• **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- აკრედიტაციის შემდეგ დაცული იქნა 2 სადოქტორო დისერტაცია - ისტორიის და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხით.
- საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს არსებობა.

• **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალაში გათვალისწინებულია 2018 წელს განხორციელებულ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების ნაწილი:

- მისანიჭებელი კვალიფიკაციების კოდები გაწერილია მოთხოვნის შესაბამისად.
- სასწავლო კურსი „დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი“ შეტანილია სავალდებულო საგანთა, ხოლო სასწავლო კურსები - „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და „სწავლების პრაქტიკა“ - სავალდებულო არჩევით საგანთა ჩამონათვალში.
- სასწავლო კურსი „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“ სავალდებულო საგანთა ნუსხიდან გადავიდა სავალდებულო არჩევით საგანთა ჩამონათვალში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების პროგრამის დეკლარირებული მიზნები, - სოციალურ (საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია) და ჰუმანიტარულ (ფილოსოფია, ფილოლოგია, ისტორია) მეცნიერებებში სამეცნიერო ინტერდისციპლინური კვლევების უზრუნველყოფა, ახალი ცოდნის შექმნის ხელშეწყობა, სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება, მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში და კვლევების წარმოების ხელშეწყობა, - შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომელიც გულისხმობს სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც სტუდენტებს ჩამოყალიბებს თავისუფალ აზროვნებასა და არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებულ ღირებულებებს, გზას გაუხსნის შემეცნებისკენ და უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

2018 წელს განხორციელებულ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- მოთხოვნის შესაბამისად, გაიწეროს მისანიჭებელი კვალიფიკაციების კოდები;
- დოკუმენტურად იქნეს დაფიქსირებული და სათანადოდ აღწერილი წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის ინტერდისციპლინური ბუნება;
- პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი მისანიჭებელი ყველა კვალიფიკაცია მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან (მუხლი 4.4), კერძოდ, კვალიფიკაცია „დოქტორი სოციალურ ფსიქოლოგიაში“ (ა) ამოღებულ იქნეს მისანიჭებელ კვალიფიკაციათა ჩამონათვალიდან ან (ბ) ჩანაცვლდეს მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით მეორე სვეტში მოცემული კვალიფიკაციის შესაბამისად). ამ შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია იქნება „ფსიქოლოგიის დოქტორი“.

წარმოდგენილ მასალაში, დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები და მისანიჭებელი კვალიფიკაციების კოდები გაწერილია მოთხოვნის შესაბამისად, ასევე, წარმოდგენილი განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და არგუმენტები უფრო დამაჯერებლად ასაბუთებს მის ინტერდისციპლინურ ბუნებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

<ul style="list-style-type: none"> ○ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდება ○ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს ოქმი №23, 25.05.2018 ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (18.05.2018)
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები, ძირითადად, აღწერს სწავლის შედეგებს კვალიფიკაციების აღმწერებით, რომელიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. 2018 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ პროგრამის კომპონენტების შინაარსის, დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

სწავლის შედეგების მიმართულებით რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ იგი ზუსტად მორგებოდა მოცემული მისანიჭებელი კვალიფიკაციით გათვალისწინებულ კომპეტენციებს, უნდა ყოფილიყო ცხადი და გასაგები, კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი და არა ფორმალური/ზოგადი ხასიათის. წარმოდგენილ მასალებში სწავლის შედეგების აღწერაში განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, მაგრამ ზოგად ჭრილში ისინი მაინც საჭიროებს დაზუსტებას. პროგრამის ყველა მიმართულებებზე სწავლის შედეგები ნათლად უნდა აღწერდეს შემდეგ კომპონენტებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები. მაგალითად, ეკონომიკის მიმართულებით, ცოდნასა და გაცნობიერებაში მკვეთრად უნდა წარმოჩენილიყო რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის ინოვაციური მეთოდების იდენტიფიცირება ინტერდისციპლინურ კონტექსტში ეკონომიკური პრობლემების სიღრმისეული კვლევისათვის; ამასთან, ორიენტაცია უფრო მეტად სიღრმისეულ ანალიზსა და კვლევაზე უნდა იყოს მიმართული და არა „ეკონომიკური თეორიის ძირითადი თეორიული დებატების ისტორიაზე“, ან „ანალიზებს ეკონომიკურ პრობლემებს...“; „იცის ეკონომიკურ თეორიაში არსებული პრობლემატიკა...“ ვფიქრობთ, დოქტორანტურის საფეხურზე უნდა განხორციელდეს ეკონომიკის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება, რომელიც შედეგებშიც უნდა დაკონკრეტდეს, ასევე, ნათლად უნდა აისახოს კრიტიკული ანალიზის და არსებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის, მოსაზრებების არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარები ყველა დონეზე.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ სწავლის შედეგები ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად უნდა ჩამოაყალიბოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს ოქმი №23, 25.05.2018
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 18.05.2018

რეკომენდაციები:

- ✓ პროგრამის მიმართულებების სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს კომპონენტებს. მაგალითად, დოქტორანტურის საფეხურზე ყველა მიმართულებით უნდა წარმოჩნდეს სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება, რომელიც შედეგებშიც უნდა დაკონკრეტდეს; ასევე, უნარებში აისახოს კრიტიკული ანალიზის და არსებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის, მოსაზრებების არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ დაწესებულებამ სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და იგი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. სადოქტორო პროგრამაზე მიღებას სადოქტორო სკოლა აცხადებს. განცხადება, ასევე, თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.freeuni.edu.ge).</p> <p>თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულია სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მათ შორის: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი; ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა და/ან ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატს აქვს ინგლისურ ენაზე სწავლის და/ან მუშაობის გამოცდილება; სამოტივაციო წერილი, რომელიც უნდა მოიცავდეს საკვლევი თემატიკის აღწერასა და მისი მნიშვნელობის დასაბუთებას; გასაუბრება, რომელსაც ახორცილებს სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ სამეცნიერო მიმართულების კომისია.</p> <p>მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც უფრო ტექნიკური ხასიათისაა, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სადოქტორო პროგრამის და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში დაფიქსირებულია ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნა, ხოლო წარმოდგენილ პროგრამაში B1 დონეა მითითებული (მუხლი 4, პუნქტი „ე“); 2. დებულებაში წერია, რომ სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას, პროგრამაში კი მითითებულია 500 სიტყვა. შეიძლება ამას ჰქონდეს ახსნა, ვინაიდან 500 მართლაც არ აღემატება 1250 სიტყვას, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ არის საჭირო ასეთი შეზღუდვა და პროგრამაშიც სასურველია, იყოს ის, რაც დებულებაშია (მუხლი 4, პუნქტი „ვ“, - არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას).
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, 2019 წ. ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დაფიქსირდეს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა; • სასურველია, არ დაწესდეს შეზღუდვა და სამოტივაციო წერილის მოცულობა იყოს წარმოდგენილი ისე, როგორც დებულებაშია, კერძოდ, სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტმა, სულ მცირე, 3 წლის განმავლობაში უნდა აითვისოს. პროგრამა ორი კომპონენტისგან შედგება: სასწავლო (45 ECTS) და კვლევითი კომპონენტები. ამასთან, სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (25 ECTS, სულ 5 სასწავლო კურსი) და არჩევითი (5 ECTS, სულ 4 სასწავლო კურსი, საიდანაც სტუდენტმა ერთი უნდა აირჩიოს) საგნებისგან, ასევე, დოქტორანტის სემინარებისგან (15 ECTS, სულ სამი სემინარი). სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესი მკაფიოდ არის გაწერილი სემესტრების მიხედვით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

დაწესებულებამ გაითვალისწინა 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები და პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებულია ცვლილებები, კერძოდ, სასწავლო კურსი „დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი“ შეტანილია სავალდებულო საგანთა, ხოლო სასწავლო კურსები „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და „სწავლების პრაქტიკა“ - სავალდებულო არჩევით საგანთა ჩამონათვალში. სასწავლო კურსი „სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში“ სავალდებულო საგანთა ნუსხიდან გადავიდა სავალდებულო არჩევითი საგანთა ჩამონათვალში. წარმოდგენილ კურიკულუმში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, სავალდებულო

არჩევითი საგანთა კორექტირებულ ჩამონათვალში წერია „**დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი**“, **მაგრამ მეორე დოკუმენტში**, სადაც კურიკულუმი და სამეცნიერო მიმართულების კომისია არის წარმოდგენილი, მითითებულია „**არჩევითი ინდივიდუალური სემინარი**“.

პროგრამის თანახმად, „**სოციალური მეცნიერებების დოქტორის ხარისხი (PhD in Social Sciences)**“ კანდიდატს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუკი მის დისერტაციაში გამოყენებულია სოციალური მეცნიერებების რამდენიმე (ერთზე მეტი) დარგისა ან ქვედარგის მეთოდოლოგიური მიდგომა, კონცეპტუალური აპარატი, ან თეორიული ჩარჩო“ (იხ. პროგრამის აღწერა, გვ. 8). თუმცა, პროგრამის პირველ გვერდზე მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალში აღნიშნულია: სოციალური მეცნიერებათა დოქტორი (07), მათ შორის „(0701) ეკონომიკის დოქტორი - (0701) PhD in Economics“ და ა.შ. შესაბამისად, ბუნდოვანია, რა შემთხვევაში ხდება სოციალური მეცნიერებების დოქტორის ხარისხის მინიჭება და რა შემთხვევაში ხდება, მაგალითად, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მინიჭება. ანალოგიური ვითარებაა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან მიმართებაშიც.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დასაზუსტებელია, რა შემთხვევაში ხდება სოციალური მეცნიერებების დოქტორის ხარისხის მინიჭება და რა შემთხვევაში ხდება, მაგალითად, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მინიჭება. ანალოგიური ვითარებაა ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა კვალიფიკაციების მინიჭება განხორციელდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

ასევე, განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, პროგრამის მიმართ გავაქვს რეკომენდაცია; კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის ერთ-ერთი მიზანია: „უმალესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება“. აღნიშნული მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვანია, რომ საგანი „სწავლების პრაქტიკა“ იყოს არა არჩევით სავალდებულო საგანთა ნუსხაში, არამედ სავალდებულო სასწავლო საგანთა სიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსების სილაბუსები
- სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, 2019 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს ოქმი №23, 25.05.2018
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 18.05.2018

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, საგანი „**სწავლების პრაქტიკა**“ იყოს არა არჩევით სავალდებულო საგანთა ნუსხაში, არამედ სავალდებულო სასწავლო საგანთა სიაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კვალიფიკაციების მინიჭება განხორციელდეს სწავლის სეფროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
- გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა; კერძოდ, სავალდებულო არჩევით საგანთა კორექტირებულ ჩამონათვალში წერია „**დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი**“, **მაგრამ მეორე დოკუმენტში**, სადაც კურიკულუმი და სამეცნიერო მიმართულების კომისია არის წარმოდგენილი, მითითებულია „**არჩევითი ინდივიდუალური სემინარი**“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები და პროგრამის სწავლის შედეგები, ასევე, სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ერთმანეთთან მეტწილად შესაბამისია. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების, ასევე, პროგრამაში დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას ყველა მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიმართულებით, დაფუძნებულია თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას ყველა მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიმართულებით.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის (45 ECTS) მოიცავს:

სავალდებულო სასწავლო კურსებს (25 ECTS): აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის - 5 კრედიტი; სადისერტაციო კვლევის მომზადება - 6 კრედიტი; სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი - 4 კრედიტი; თვისებრივი კვლევის მეთოდები - 6 კრედიტი; დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი - 4 კრედიტი; **არჩევითი სავალდებულო კურსებს (5 ECTS):** რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულოა სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების დოქტორანტებისთვის); სწავლება

უმადლესი განათლების სისტემაში; სწავლების პრაქტიკა; არჩევითი ინდივიდუალური სემინარი; **დოქტორანტის სემინარებს** (15 ECTS, სულ სამი სემინარი).

პროგრამის კვლევით კომპონენტი მოიცავს სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში კვლევის განხორციელებას ეტაპების შესაბამისად: **კვლევის ნაწილი I** - კვლევის პროექტი, კვლევის გეგმა, ბიბლიოგრაფიული მონახაზი; **კვლევის ნაწილი II** - ბიბლიოგრაფია და მეთოდური მონახაზი; **კვლევის ნაწილი III** - მასალების შეგროვება, სადისერტაციო კვლევის პროექტი; **კვლევის ნაწილი IV** - მასალების შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, I თავი; **კვლევის ნაწილი V** - სადისერტაციო ნაწილის ტექსტზე მუშაობა, შედეგების გადამოწმება, სამეცნიერო სტატიის მომზადება და გამოქვეყნება; **კვლევის ნაწილი VI** - სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო ვერსია, საჯარო დაცვა.

- აკრედიტაციის საბჭოს ოქმში (ოქმი №23, 22.05.2018) მოცემულია მე-6 რეკომენდაცია: „გადაიხედოს ყველა სასწავლო სილაბუსი და მოვიდეს მესამე დონის კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში. [...] სემინარებში ძირითადი ლიტერატურა განისაზღვროს სამეცნიერო ნაშრომებით“ (გვ. 22). საბჭოს აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში („სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები“) აღნიშნულია: „გადაიხედა და განახლდა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი“ (გვ. 2).

მიუხედავად აღნიშნულისა, ცალკეულ სილაბუსებში კვლევის მიზნები, შედეგი და შინაარსი ისევ განსხვავებულია და არ არის ერთმანეთთან შესაბამისი, კერძოდ,

1. „კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“ - კურსის მიზანში წერია, რომ „კურსის მიზანია მსმენელებს ჩამოუყალიბოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების თეორიული და გამოყენებითი საფუძვლები. დოქტორანტები სიღრმისეულად შეისწავლიან ამოცანის დასმისა და რაოდენობრივი კვლევის განხორციელების ყოველ ეტაპს. *კურსი აგრეთვე მოიცავს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისათვის საჭირო ინსტრუმენტების შესწავლას.*“ კურსის შედეგებში კი წერია: „დოქტორანტი იყენებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს“; „დოქტორანტმა სიღრმისეულად იცის რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.“ მეცადინეობის თემატიკაში „საჭირო ინსტრუმენტები“, - როგორც არის **კითხვარი, ტესტი, სკალა, კონტენტ-ანალიზი**, - არსად არ არის მოხსენიებული. თემატიკაში, ძირითადად, განხილულია სტატისტიკური მეთოდები, რომლიც სწავლის შედეგებშიც გაწერილია, კერძოდ:

- დოქტორანტმა სიღრმისეულად იცის შემთხვევითი ცვლადის ცნება, ალბათობის საფუძვლები;
- დოქტორანტი ანაწილებს სიხშირეებს, იცის ძირითადი სტატისტიკური განაწილებები, ჯვარედინა ტაბულაცია, ჰიპოთეზების ფორმირება და დატესტვა (პარამეტრული და არა-პარამეტრული);
- დოქტორანტი აგებს ნდობის ინტერვალს;
- დოქტორანტი ამოწმებს ერთამოკრეფიანი და ორამოკრეფიანი ამოცანების ჰიპოთეზას; დოქტორანტი აკეთებს დისპერსიულ ანალიზს (ANOVA);
- დოქტორანტმა სიღრმისეულად იცის კორელაცია და რეგრესული ანალიზი (ერთ-ცვლადიანი, მრავალცვლადიანი).

სტატისტიკური მეთოდების ცოდნა უდავოდ, მნიშვნელოვანია, რადგან ის კვლევის რაოდენობრივი მეთოდით მიღებული მონაცემების დამუშავებისთვისაა განსაზღვრული, მაგრამ მაშინ უნდა დაზუსტდეს სილაბუსის სახელი: ეს საგანი კვლევის რაოდენობრივი მეთოდებია, თუ რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების სტატისტიკური მეთოდები.

სწავლის შედეგებში, ასევე, საუბარია ექსპერიმენტზე, კერძოდ: „დოქტორანტს შეუძლია ექსპერიმენტის სწორად დაგეგმვა და მისი განხორციელება.“ ექსპერიმენტი არ არის კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. ასეც რომ იყოს, ამ მეთოდზე არაფერია ნათქვამი თემატიკაში. ექსპერიმენტი, როგორც მეთოდი, არსად არ არის მოხსენიებული.

